და. იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ერებს განთავისუფლების იმედს აღეძრაოთ. ერ. დემ. პარტიის წარეები, საქართველოში და უცხოეთშიც, ამ ახალ ვითარებას ჯეროვანად აღსაქმებენ. მუშაობა ორი მიმართულებით წარმოებს, რომ საქმე დაზღვეული იყოს. ერთი გზათაგანი იყო ლეგალური, იგი გამოდგებოდათ რუსეთი გაიმარჯვებდა, ასეთ შემთხვევაში ავტონომიის მოთხოვნა ადგილი ჩანდა. ამას ჯერ კიდევ ომამდე, მოითხოვდნენ (თავდაზნაურობა, სამღვდლოება და ქალაქთა თვითმართვლობები). მით უფრო ახლა, 300 000 ჯარითვლი მდომარე იბრძოდა და ჯარითველ ერს სრული უფლება ჰქონდა პოლიტიკური ავტონომია გახედულად მოეთხოვნა. მეორე მიმართულებით — უცხოეთში დიდი მუშაობა სწარმოებდა. თუ რუსეთი დამარცხდებოდა, ამას გარდევალი შედეგები უნდა მოყოლოდა, გამარჯვებული მხარე რუსეთს ძველ საზღვრებში არ დატოვებდა; მაშინ დამარცხებული ერები თავისუფლებას მოიპოვებდნენ. საამისო მუშაობა უკვე დაწყებული იყო, ქართველი ნაციონალისტების მიერ ერ. დემ. პარტიასთან შეთანხმებით, ცუნ. ევროპის სახელმწიფოებსა და განსაკუთრებით გერმანიაში, რამაც თავის დროზე, ნაყოფი გამოიღო კიდევ.

არც მალე მოულოდნელად დამარცხებულ რუსეთში, რევოლუციამ იფეთქა. ერ. დემ. პარტიის მიერ წინასწარ გათვალისწინებული ვითარების შექმნა და მასზე დაყრდნობილი იმედები მართლდებოდა: ახლოვდებოდა დიდი ისტორიული მოვლენების, საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული ცვლილებების დასაწყისი. ქართველი ერის ბედის ძირითადი შემობრუნების დასაწყისი, თავისუფლების მზე ამოდიოდა და ქართველის გულს ახარებდა, ყველას ეროვნულ სახელმწიფოებრივ შემოქმედებისაკენ უბნობდა. საკირო იყო ეროვნული ენერჯის დაძაბვა, ახლად დაარსებულ პარტიის ორგანიზაციების შექმნა, თითქმის მხოლოდ ინტელიგენციაში დაბუდებულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეის ფართო ხალხში გატანა, ძალების მოზილზაცია (მოთმეტებს რომ სოციალისტურ ბანაკში [მარქსისტულში] ამაზე არ ფიქრობდენ), ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მრავალი ძნელი ეტაპი იყო გასავლელი. უპირველესად ყოვლისა, რომ მომავალ ისტორიულ მოვლენებს მომზადებულნი შევხედლოდეთ, საკირო იყო პარტიის დამაფუძნებელი ყრილობის მოწვევა. ხელმძღვანელთა საამისო სამზადისს შეუდგა.

ყრილობა 1917 წლის მარტში შესდგა — ტფილისში. ილ. ასათიანს წილად ზედა ამ ყრილობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარის მოწყობა. ეს მას კარგად ეხერხებოდა და იმის უნარიც ჰქონდა, ერთდამდე დროს იდეური ხელმძღვანელობა გაეწია და ორგანიზაციული მუშაობაც დაუხარებლად ეწარმოებია. ისტეენს წარემი ენერჯული და მარჯვე ორგანიზატორად იყო აღიარებული. მან ყრილობაზე რამდენიმე მოხსენება გააკეთა, სოციალ-დემონიურ და მიწის საკითხებზე. აგრეთვე თანამომხსენებელი იყო კ. აფხაზის მოხსენების — „საქართველოს სიმიდირენი და მისი დამთავება“. ყველა მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ცხოველი დებატების გამოარდა. ყრილობამ გამოიმუშავა სამოქმედო პროგრამა და ორგანიზაციის წესდება. დასასრულ არჩეულ იქმნა პარტიის მთავარი ჰომიტეტი და მის თავმჯდომარედ სპირიდონ კელია. ილ. ასათიანის შობატეებით, ყრილობას დაესწრო ილიას თანამოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, მართალია უკვე ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი და ძველები გონებადამკრიახი. მისმა დებატებში რამდენჯერმე ინტერვენციამ, დეკლარატმა შორის დიდი აღმართეანება გამოიწვია. ოპაციებზე არ დაკლებია.

ყრილობაზე მიღებულ პროგრამამ, მამინაყ და შემდეგაც, ილ. ასათიანმა, ვით სამ დებულებაზე დამყარებული, ასე განმარტა: პირველი იყო ეროვნულ სუვერენობის იდეა პეორე — სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების, კერძო საკუთრების საფუძველზე შენება, მესამე — სახელმწიფოებრივი წყობის აგება, მთელი ერის, მთელი ხალხის უფლება-მოვალეობის ნიადაგზე, ხალხური, იემოკრატიული მმართველობის საწყისებზე.

პირველი ორი ცნება — ერის სუვერენობა და კერძო საკუთრება, ერისათვის ახალი არ იყო, მისი ცხოვრება საუფლოთა განმავლობაში ამ საფუძველზე იყო აგებული. შედარებით უცნობი იყო მისთვის დემოკრატიულ წყობის შენება. (ილ. ალ. აის ძე. და ახ. მეშვე. გვ. 142)

მანინ მისი ღრმა რწმენით, ქართველიერის მომავალ ამ ცნებაზე უნდა აშენებულიყო, თუ მას სურდა თანამედროვე სახელმწიფო ყოფილიყო. ის არ უარყოფდა, რომ დემოკრატიას ბევრი უარყოფი თი თვისება ჰქონდა, დასაწყისში მაინც, ხოლო რადგან უნაკლო წყობა ჯერ არ ხილულამინც დემოკრატიული ფორმა მას ყველაზე უფეთესად მიჩანდა. ის ამბობდა, რომ უმეტესად დემოკრატიული ქვეყნები არიან ძლიერნი, მათი პროგრესი სწრაფია, ამ გზით უნდა წავიდნენ პატარა ერები იოსკენის ა. ასათიანი (ძვ. და ახ. მეშვე.).

თებერვლის რევოლუციისთანავე დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას შეუდგა. ჯერ ქართული სახელმწიფო არ არსებობდა, ასე რომ უნივერსიტეტი კერძო პირთა მიერ შემოწირული თანხებით გაიხსნა. აქაც ა. ასათიანმა თავისი წვლილი შეიტანა. მისი მეთაურობით, ქართველებში საკმაო თანხა მოგროვდა, უნივერსიტეტის არსებობის გასაგრძელებლად.

თავისუფლების ხანა დადგა და მუშა-მოსამსახურენი და ხელოსნები პროფუტეში იბრუნებნ თავი-

ანთი პროფესიული ინტერესთა დასაცავად; საჭირო იყო მწარმოებელი კლასის შექცევინება, რაც ურიად სპ-
შური იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისათვის.ერ. დემ. პარტიამ და პირველ რიგში ა. ასათიანმა
დიდი თაოსნობა გამოიჩინა. იგი ჰქმნის სოფლის მეურნეთა კავშირებს დამწარმოებელთაამხანაგობებს, —
მეღვინეობის მეზბრეშუმეობის, მებოლუობის, მეთამბაჰეობის, შესაქონლეობის და სხ.ასე ჩამოყალიბდა ქარ-
თლის მებოლუობათა ამხანაგობა(თავ. რ. გაბაშვილი). მეტყვართა გაერთიანება „მწყემსი“ (თავმ. შ. ქარუ-
მიძე), უკვე არსებობდა მეღვინეთა და მევენახეთა კავშირები კოოპერაციულ საწყისებზე დაბაზარს მალა-
ლხარისხოვან ლენოს აწვედიღენ, გაქონდათ უტხოთხიუ.ყველა ეს მწარმოებელი სავაჭრო-სამარტეველო
პალატებში გაერთიანდენ.მათი ინიციატივით ყველგან არსდება ბანკები, რომელნიც ტფილ. ცენტრალურ ბა-
ნკში გაერთიანდენ (ღირტე. პ. გოთუა და ნ. თვადგორიძე).საქართველოს ეკონომიურ განვითარებისათვის კი-
დღე მეტი იყო საჭირო და მწარმოებლებმა შესძლეს ყველა მწარმოებელ კავშირთა ერთ ორგანოში გაერთი-
ანება, რომელიც ეწოდა „წარმოკავშირის“ (თავმ. კ. აფხაზი).ეს ძლიერი კერძო მწარმოებელი გაერთიანე-
ბა რომელიც მთელს საქართველოს ფარავდა, დიდ ეკონომიურ და ფინანსიურ ძალას წარმოადგენდა.მის ხელში
იყო ყოველგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც უმთავრესად ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი.
ეს კი საშუალებას იძლეოდა უტხოეთიდან შემოტანილ საქონლის ხარჯების დასაფარავად. (უმთავრესად ამ-
ის წყალობით მოხდა, რომ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, მიუხედავად იმისა რომ მთელი კავკასი-
ის რევოლუციონერების და ფრონტიდან მოხსნილ ჯარისკაცების ხელში იყო, შედარებით დამკამყოფილებელ
სურათს წარმოადგენდა).ა.ასათიანი ბევრს მუშაობდა ამ შექცევინების და გაერთიანებისათვის, დარწმუნ-
ებული, რომ ეს საქმიანობა უხე ნაყოფს გამოიღებდა:უბრეველესად რა თქმა უნდა ქვეყანა მოიგებდა, ეკონ-
ომიურად, მაგრამ პარტიისათვისაც მყარი ბაზისი იქმნებოდა, რომ პარტიას მეტი წონა და გავლენა მოეპო-
ვებოდა და ქვეყნის საქმიანობა, ჩვენი პარტიის პრინციპების მიხედვით: მართებზე მეტი დალი დაესვა—იმის
მოლოდინში რომღესაც ჩვენი პარტია მმართველობის სადავს ხელში აიღებდა.ეს უკანასკნელი მოღვენ-
თანდათან სავაჭრული ჩანდა, თუ ქართულ საზოგადოებრივ აზრის მავინდელ განვითარებას მხედველობაში
მივღებთ.

აღ. ასათიანი არა მარტო სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში იყო დაინტერესებული, მის ყურადღ-
ების ცენტრში იდგა აგრეთვე სხვა მწვევე ეროვნული პრობლემებიც.რევოლუციის პირველ დღეებშივე წამოი-
ჭრა ერთი დიდი საკითხი, რომელშიც არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური მნიშე-
ნელობაც ჰქონდა. ეს იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.ცნობილია, რომ ქრისტიანობა ჩვენს
წარსულშიგანსხვავებულად დიდ როლს თამაშობდა, სარწმუნოების დაცვა, ეროვნების დასაცვის ნიშნავდა.
ქართველი სამღვდლოებმა ყოველ ყრილობაზე ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ ამოღ.ბოლოს
ბრძოლამ მთინე ნაყოფი გამოიღო და ავტოკეფალია გამოცხადდა. ეს იყო სარწმუნოებრივითან ერთად უმნი-
შეწვლოვანესი ეროვნული აქტი, რომელიც წინ უსწრობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას რო-
გორც მთელმწიფოებრივობისა.ამ მობოჯის გაღადგმის დაყოენება არ შეიძლებოდა და 1917 წლის თორ-
მეტ მარტს, სევეტცხოველში შეიკრება საეკლესიო ყრილობა (სახლიერეთა და საერო დღეეგატთა მინაწილე-
ობით) და დიდი ზეიმით, უამრავ მლოცველების, ხელისუფლების წარმომადგენლების დაუცხოელ მისიათა
მეთაურების დასწრებით, კათალიკოს პატრიარქად არჩეულ იქმნა კირიონ მორე.

ერ დემ. პარტიის მეთაურები, როგორც ყრილობის დღიერაქები, უკლებლივ მონაწილეობდენ კათალიკ-
ოსის არჩევაში. შემდეგ ზოგნი საკათალიკოსო საბჭოში შევიდნენ და მღვდელმთავრებს შევლოდნენ ახლად
ფხადგმულ ეკლესიის განმტკიცებშიც.ეს აღრეულად შესრულებულ აქტი, ნამდვილად რევოლუციური აქტი
იყო და ჩვენს პარტია ერთადერთისა.ამ მობოჯის კრილობა (სახლიერეთა და საერო დღეეგატთა მინაწილე-
ობით) და დიდი ზეიმით, უამრავ მლოცველების, ხელისუფლების წარმომადგენლების დაუცხოელ მისიათა
ერთად ამ ისტორიულ აქტს გულმუდგინედ ამზადებდა.

მეორე მნიშეწვლოვანი ეტაპი იყო ეროვნულ საბჭოს შედგენა, რომელიც მოხდა 1917 წლის ოქტობრ-
ნოემბერს.ერ. დემ. პარტიის შთავგონებით იყო, რომ თავდაღახნაურობამ კოტე აფხაზის მეთაურობით, მთელი
თავისი მრავალიმოლიონიანი ქონება ქართველ ერს აღუთქვა, თუ ის მუდმივ ეროვნულ ორგანოს ან საბჭოს
შექმნიდა.საბჭო მართლად შედგა პროპორციულ საფუძველზე, ყველა პარტიის და კულტურულ საზოგადოე-
ბის წარმომადგენელთაგან.საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული სოც. დემ. ნ. ეორდანიანი—
იმ მოსაზრებით, რომ ამ საბჭოს შექმნარება ქონებოდა მავინ მთელ კავკასიაში გაბატონებულ სხვადასხვა ერო-
ვნების რევოლუციურ წრეებში, რომელთა მეთაური მავინ ნ. ეორდანიანი იყო.

შემდეგი და უდიდესი ეტაპი იყო თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამავე ეროვნ-
ულ საბჭოს მიერ, რომელიც გარდაიქმნა „საქართველოს პარლამენტად“.საქართველო სევერეტულ სახელმწ-
იფოდ იქცა.

ჩვენი პარტია გასაგებ ენთუზიაზმით ჩაება ეროვნულ შემოქმედებით მუშაობაში ეს ხომ მისი მიზანია იყო. ა. ასათიანი პოლიტიკურ მეგობრებთან ერთად, წინა რიგებში იდგა და პირველ კოალიციურ მთავრობას (რომელიც იდეალურ ყველა პარტიები შედიოდნენ) ენერგიულად მხარს უჭერდა, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცებულიყო.

ა. ასათიანი პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში ენერგიულად მუშაობდა საქანონმდებლო ორგანოს მუდმივ კომისიებში, განსაკუთრებით ბევრი შრომა გასწია საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებში, სოციალურ-ეკონომიურ და საბიუჯეტო კანონების განხილვისას პარტიის პორტპაროლი იყო და საკითხების სპეციალისტის უნარს ჯეროვნად ავლენდა. აქტუალურ საკითხებზე თუ მთავრობის ეკონომიურ-ფინანსიურ პოლიტიკაზე შეკითხვებიც მას შეჰქონდა. მისი გამოსვლებში ცხოველ ინტერესი იწყვედა.

ჩვენი პარტია, დამფუძნებელი კრებულად გამოსულ ერთიანად სოც. დემ. მთავრობაში აღარ შედიოდა და ისე როგორც სხვა პარტიები მოპოვებისას იღობოდა და ზომიერ ოპოზიციას აწარმოებდა. (ეროვნულ საქმისკენ ახლად მოტივირებულ მარქსისტულად მოაზროვნე ხალხისგან ნაშეშინის მოთხოვნაც არ შეიძლებოდა) მთავრობის მიმართ კრიტიკა მაინცდამაინც მკაცრიარ ყოფილა. ოპოზიცია საქმიანი იყო ასეთივე განწყობილებას სუფევდა პრესაში. ოპოზიცია იშლებოდა მნიშვნელოვან საკითხებზე როგორც — კონსტიტუციის, ფინანსების, აღმინისტრაციის, ჯარის ორგანიზაციის, გვარობა-მრეწველობის, აგრალური რეფორმისა და განათლების საკითხებში. ამათ შორის ყველაზე ცხარე უთანხმოება, თავდაცვის საკითხზე ხდებოდა. . . . საუბედუროდ ჩვენი კონცეპტია მმართველმა წრემ არ გაიანწყობა.

ხშირად ოპოზიცია მართებულად არ იყო გაგებელი, ზოგის ის უსარგებლოდ და საზიანოდც მიაჩნდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობის მქონე სოც. დემ. პარტიაში ჯერ კიდევ რევოლუციური სული ბატონობდა. ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს აღდგენის რეალური მნიშვნელობა მათ შორის მხოლოდ რჩევლებს თუ ესმოდა, მაგრამ მათაც ხელები შეკრული ჰქონდათ თავიანთივე მიმდევრების მოთმზადებლობის ანუ უკეთ რომ წყვეთ, არაერთგულად მომზადების გამო. მათ წრეში გაუგებრობას იწყევდა ის მოკუნა, რომ რაც ხდებოდა, სრულიად იმას არ ვადა, რაც მათ ეცნათ. ამას ნ. კორღანიძე აღნიშნავს თავის მოგონებაში, საუბედუროდ ძალიან ძუნწად.

ჩვენს წრეებში კი პირიქით ბევრი უმეაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ოპოზიცია ძალზე ღმობიერია და ასეთი ზომიერი კრიტიკა მიზანს ვერ აღწევს. ექსტრემისტულად განწყობილ შეზღუდულ წრეში ის აგრძე იყო, რომ ეს მთავრობა ძალიან უნდა გადაეადგოთ თორემ დაგვლუბავენო.

დემოკრატიული მწყობრი ფიზიკურ ოპოზიციას საქმიანი კრიტიკა შეგნებას ნერავს, რაც წყობილების განმტკიცების საშუალებაა. ა. ასათიანს ასე ესმოდა ოპოზიციის დანიშნულება და არაერთხელ მიმართავდა ამ საშუალებას, როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ხერხს, რომ პარტიას მიეღწია პოლიტიკურ მიზნისათვის. ე. ი. ხელისუფლების მოპოვებისათვის, სასვებთ დემოკრატიული გზით და არა ზემოდასწავებულ ექსტრემისტთა პუთოდით. ის იმ აზრის იყო, რომ თუმცა ს. დ. პარტიას მთლიან სწორი გზა არა აქვს არჩეული მაგრამ ხალხის უმრავლესობა ჯერ მათ ემხრობა და ცვლილებები ამ ხალხის გათვითნობიერებით უნდა მოხდეს დემოკრატიულად.

დამფუძნებელი კრება მუშაობას ამთავრებდა, 1920 წ. უკვე მზად იყო კონსტიტუცია, მხოლოდ დამტკიცება იყო საჭირო. დამფ. კრების დათხოვნა დღის წესრიგში იდგა. პარტიები ახალსაპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადებოდნენ. ე. ი. დემ. პარტია თვედარივს შეუდგა. საჭირო იყო ყველა იმ ფრაქციებთან მოლაპარაკება, რომელნიც სხვადასხვა დროს პარტიას ჩამოშორდნენ. ესენი იყვნენ, შემარჯვენე ფრთა, მეთაურები: ვ. გეშაბელი, შ. ქარაშიძე, დ. ექვთიშვილი, მ. მაჩაბელი, რ. გაბაშვილი, შ. ამირაჯიბი და სხ. მეორე მარცხენა ფრაქცია, მეთაურები: გულბაგიანი, ინტერესების გამოხატველი, რადიკალ დემოკრატებად წოდებულნი: ტ. ავაქიანი, დ. ჩიჭოვანი და სხ. მეთაურობდა: აგრეთვე იყო უპარტიოთა კავშირი კ. აფხაზის, ივ. ჯავახიშვილის და კოტე მაყაშვილის მეთაურობით.

არჩევნებში წარმატებისათვის ამ ფრაქციების გაერთიანება იყო საჭირო. პარ. თავმჯ. ს. კედისა და მთავარ კონსტიტუციის დავალებით, ამის განხორციელება ა. ასათიანს დაეცისრა. სულ მოკლე ხანში მან ამ ფრაქციებთან მოლაპარაკება დაამთავრა და ყველა მათ ერთ მთლიან ერ. დემ. პარტიაში თავი მოუყარა.

კიდევ მეტი იყო გასაკეთებელი და ესეც მან შეასრულა მეტად გონივრული მოქმედებით. საქმე ეხებოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათ, რომელნიც ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ. ესენი იყვნენ სომხები, ბერძნები და გერმანელი კოლონისტები. საჭირო იყო მათი დათანხმება, რომ ისინი ახლად შექმნილ მდგომარეობას შერიგებოდნენ და საქართველოს ერთგული მოქალაქეები გამხდარიყვნენ — ჩამბუნნი, როგორც ეკონომიურ ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასაც ა. ასათიანმა

შესაბამისი პოლიპარტიულობის და უაქტიურობის მიხედვით. 1921 წლის მიწურულში, ყველა ამ გავრთიანებაში შეტყუდრდა, დიდი პოლიტიკური ბანკეტი დასრულდა. ძალიან აკეთი გავრთიანება მომავალ არტიკლებსათვის დიდი თო პერსპექტივის და იმედის შიდა.

სხვა სახურველიც მარჯვად იყო. პარტიის საკუთარი ჯამბა არ ჰქონდა, მექვდა დიდ ხარჯებს იწვევდა. ა. ასათიანის ინიციატივით და მონაღმრებით ეს საქმეც მოგვარდა. მის მიერ შედგენილი სააქციო სასოგადლოებამ საკუთარი სტანბა შეიკაფა. იმ დროს ქაღალდის ქარხის იყო, გარეთის ტრიაფის აწვევა ძნელდებოდა. უცხო ფირმა შეშველობით ქაღალდის დიდი რაოდენობა იქნა შემოტანილი. ამ ზომების ძილება გავთვის შეუფუძვლად გამოცემა უზრუნველყო.

მართო ჭაოული გავთვის გამოცემა არ გამოდა, ბერმა უცხოელმა ქართული არ იყო, ა. ასათიანის წინადადებით, დადგინდა ყოველდღიური გავთიანა. ამოცემა რუსულ ენაზე „გარეთის“ სახელწოდებით. ხელმძღვანელთან დაეკისრათ: თ. თუმანიშვილი, მ. ვოუდა და რ. ინგლისი. გავთიან არაქართულ მოსახლეობას აცნობდა. კეთი პარტიის შეხედულებებს, მათ უკვე ჯერ საქართველოს შინაგარე და საგარეო პოლიტიკის მუშაობელ ქვეყნებთან კეთი ურთიერთობას, სადაო საკითხებში მდობრბანად ვადკარას და სხ. იმეამად ბევრი უცხოელი მტრულად იყო განწყობილი საქართველოში, საჭირო იყო პროპაგანდა მით შემოსარგებლად.

ვერდი ეს გვემეტი საქართველოს დაპყრობანი ჩაქო. ა. ასათიანი და პარტიის სხვა ლიდერები საქართველოში დაბრუნდნენ. ამ ვადანწყვეტილებას მოხალურ პოინციბული მოტივი ჰქონდა: ჩვენს ხელმძღვანელობას არ სურდა გაყოლოდა იმ მოთარბას, როელსაც კატასტროფის პასუხისმგებლად თვლიდა. მით დადგინეს დარჩენი, ხელის ბედის ვანაწილება და ოკუპანტები წინააღმდეგ ბრძოლის ვაჩალება. ამისთვის საჭირო იყო არაუკვალებრი მუშაობა, რომელიც კონსპირაციული ჯგუფების შედგენას მოითხოვდა. ამ საქმიანობაში უმთავრესად, ახალგაზრდობა ჩაება, ხოლო ა. ასათიანი სხვა ლიდერებთან ერთად მით დირექტივებს აძლევდნენ. აგრეთვე საჭირო იყო სამხედრო ორგანიზაცია რაკი მხურვალე პარტიობებმა და ცნობილი მხედრებმა მოკიდეს ხელი. იმთავითვე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ს. კეღისთან მოლაპარაკების შედეგად, თავისდვა პარტიონულ რაზმის ჩამოყალიბება. შეფიცულია წესდება ა. ასათიანმა შეადგინა. შეფიცულია რაზმს მოქმედების ვანამავლობაში, პარტიისთან ავადშირებდა გ. წინამძღვრი შვილი, იგივე იყო მებრძოლთა მომმარაგებელი. ვარდა ამისა, ზემო იმერეთში შეიქმნა პარტიონული რაზმი მ. ველიას თაოსნობით, რომელსაც შ. იმხნელი მეთაურობდა, სეინეთში კი ასეთი რაზმის შედგენა ბ. პირველია და ევ. ვამლიანი იცისრეს.

გაჩაღებულმა პარტიონულმა ბრძოლამ და ოკუპანტების საწინააღმდეგო სულისკვეთებამ, რომელსაც მთელი ხალხი იწუნდა, ხელისუფლება საკონტრეული ჩაავლო. დაიწყო ყველა პარტიების მოღვაწეთა მასიური დაპატიმრება, ა. ასათიანი მეგობრებთან ერთად ამითში აღმოჩნდა. იგი ციხიდან გაიქცა და მცირე ხნის შემდგომ, უცხოეთში ვიხიჩნა. ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდა, საქართველოსთან კავშირი ჰქონდა, იქიდან ცნობებს იღებდა, თითონაც ხშირად იწერებოდა და საერთაშორისო ვითარებას აცნობდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს. შემდეგ საფარბავთში ვადმოხალდა უფრო დიდი პოლიტიკური მუშაობის ვასაწვევად. არსებობისათვის ზრუნვა დიდ დროს აკარგვინებდა. დიხიკურ შრომისაც ვწეოდა ხოლმე. არც პოლიტიკურ ბრძოლას ვმეუბნოდა. სადაც კი მიუწვდებოდა, ქართულ ინტერესთა დასაცავად ძალას არ იშურებდა. ს. ვინდა ყურ. „სამშობლოს“, დრო და დრო მოხსენებებს კითხულობდა, ემიგრაციის ამხნეებდა მომავლის წარენას ვკინერგავდა.

ა. ასათიანი ემიგრაციის პირველ ხანებში, მთავრობის წრებთან დაბრისსიბრებული, ოპოზიციაში იყო, მგარამ საერთო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მან რამდენჯერმე იმოგზაურა იმ ქვეყნებში სადაც ქართული საკითხი ანტრესეუბდა— თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში და პოლონეთში. დიდ ხანს იცხოვრა პოლონეთშიაც, იქაც ქართულ საქმისთვის ზრუნავდა. მან, სხვა ქართველებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს სახურვებს მიუხელოვდა. ხოლო არ ვავიბრთოდა. მიიტყრწმენა არ დაუკარგავს, სხვა საშუალებით ბრძოლის ვავრძელების ნებისყოფა არ მოღუნებდა. როცა მადრიდთან პარტიონი დაბრუნდა, მუშაობა ახალი ენერგიით ვანახლა. ვადარჩინელ ეროვნულ ძალებს თავი მოუყარა და კავკასიური პოლიტიკური მოღვაწეული საერთო საქმიანობაში ჩაება. უკანასკნელი ხანის მისი მოღვაწეობა და ვავშირებულია კავკასიურ ერთა პო. ორგანიზაციების ერთობლ ვრონდ ფრანკის შექმნასთან. რაც ვამოიხატა პოლიტიკურ ცენტრის ჩამოყალიბებით. ამ ცენტრმა დასავლეთის მთავრობებს და მსოფლიო სასოგადლოებრივ აზრს მოწოდებით მიმართა, რაღა დახმარება მიეღოთ საბ. რუსეთის ძიერ დაპყრობილ ერების ვათავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოწოდება უცხოეთის პრესაში ვამოქვეყნდა და ვამოქაბილი ჰპოვა. მაშინ დაბრუნდა კავკასიური კომიტეტი (საქ. ადრეს. სომხ. მთიულეთი), რომლის თავმჯდომარე ა. ასათიანი იყო. ვანარახებული ჰქონდათ ვამოცემები კავკასიურ ენებზე. მიუხედავად ჩვენთვის არახელსაყრელ კონფიკტურ

ისა, მუშაობა დაძაბულია სწარმოვდა.

ამ გაერთიანების თაოსანი და სულიწამდგმელი ა. ასათიანი, მან ამ საქმისთვის რამდენჯერმე იმგზავრა მიუხედავად იმისა რომ მუშაობა ქმედითად წარმართულიყოფით დღეს მწვევე ტვივილებივარდა, რაც მისთვის სახელისწერო აღმოჩნდა. ოპერაციამ ვერ უშველა, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო, რადგან მეთაური დავეარებეთ ხოლო საქართველო დიდი მოამაგე დაკავა. მაინც ფარ-ხმალი არ დავეყრია, ბრძოლა გრძელდება თანახმად მისი ანდერძისა.

ა. ასათიანი დიდ გონებრივ მუშაობას ეწეოდა: კითხულობდა წერდა. მისი ნაწერებები უმრავლესობა ეუბრანაღაზეთებშია დაბეჭდილი, ზოგიც წიგნებადაა გამოცემული. 1919 წელს გამოიცა მისი ფრიად სერიოზული ნაშრომი „მიწის საკითხი საქართველოში“. ეს წიგნი მეცნიერული ხასიათისაა. პროფ. ავალიანი მას ასახელებს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს. სხვა მკვლევარებშიც არაერთხელ იყენებენ მას, რა თქმა უნდა, თავისებურად. იგი ხშირადაა ციტირებული, პრ. გუბუშვილის და უშ. სიღამონიძის მიერ. როგორც ავტორის მას სთვლის ბრეტუაზის დამცველს უწოდებენ, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და პუბლიცისტს, ჩვეულებრივად, რეპროდუქციებში ათავსებენ. მან აგრეთვე პარტიის ყრილობაზე კაცითხა ნარკვევი „სოციალურ-ეკონომიური საკითხები“, რომელიც სტამბაზე გადაცემული დაიკარგა ვასაბჭოებისას. მისი აღდგენა გელარ შიქლო, რასაც ძლიერ ხალვლობდა. 1928 წელს გამოიცა მისი წიგნი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, რომელმაც ემიგრაციაში, აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მთავრობის დასოც. დემ. პარტიის კრიტიკას შეიცავდა — უკანასკნელ ხანის ისტორიულ მოვლენებს, სოც. დემოკრატების წარსულ მოღვაწეობას, დამოუკიდებლობის პერიოდს, საქართველოს დაპყრობის გარემოებასა და უცხოეთში მთავრობის მოქმედებას შეხებოდა. წიგნის პირველი ნაწილი, მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის განხილვას მოიცავს. უხადია, ეს ნაშრომი მეტად სქემატიურია და მთლიანად ვერ ფარავს საკითხის მოცულობას, არც ავტორსა აქვს ჭრეტენზია ამისთვის. მაგრამ ეს წიგნი, მკვლევარისთვის და უდასებელი განძია, რომელსაც გვერთ არ ავლევს. როგორც ვთქვით, ნაშრომმა თავის დროს მოწინააღმდეგეთა შორის დიდი გულსწარმობა გამოიწვია, რაც ბუნებრივია, რადგან მისი კრიტიკა დაუნდობელია და ამავე დროს დასაბუთებული.

ა. ასათიანმა ესპანეთში ყოფნის დროს რამდენიმე წელი ბევრი რამ დაწერა, მაგრამ საფრანგეთში დაბრუნებისას ჯაში, ბარათან ვრთად ნაწერებში დაიკარგა. დაკარგულია აგრეთვე მის მიერ გაკეთებული ვეფხისტყაოსნის სუენარა, რომში წარდგენილი. დაკარგულია ან შეიძლება ეინმესთან ინახებოდეს მონოგრაფია ნიკოლაძეს მოღვაწეობაზე, პარიზში სხვის მიერ წაკითხული. აგრეთვე დაკარგულად ითვლება მიწერ-მოწერა მის გადარჩენილ არქივში აღმოჩნდა ინახება პარტიის არქივში) შვიდი რვეული ციტატებით (ფრანგულ ენაზე), რომელთა გამოყენება ალბად ფიქრობდა, განზრახული ვრცელი ნაშრომის დასაწერად — „ოჯახი სახელმწიფო და ერო“.

ა. ასათიანი დიდად მოქმედი და ნაყოფიერი მოღვაწე იყო. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, მას ვრცელი მუშაობის ძალაც შეესწავდა, საამისო აზროვნების უნარიც გააჩნდა. ნორმალურ პირობებში მას შეეძლო საყურადღებო შრომის დაწერა. იგი ღრმა და იურიდიული განათლებით აღჭურვილი, თავიდანვე სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებზე დაინტერესებულია, რასაც კარგად იყენებდა პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში. საკმარისია მომავალი მკვლევარნი გაეცნონ მის მიერ წარმოთმულ სიტყვების სტენოგრაფულ ანგარიშებს ჩვენს მამონტულ საკანონმდებლო ორგანოში. და თუ ამას დაემატებოდა დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ შრომებს, მაშინ ა. ასათიანი წარმოგვიდგება, როგორც ერთი თვალსაჩინო ფიგურა, მოაზროვნე, კვლევებით გატაცებული.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში იგი ზომიერ, ჰკვიან და დავიკრევებულ, ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწედ ითვლებოდა. ყველანი დიდად აფასებდნენ. ახალგაზრდობაში მრავალი პატივისცემული ჰყავდა.

მთელი მისი ცხოვრება საქართველოს ბედთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და კერძო პირადული მას შესწირა, შეგნებულად, მთელი ძალისხმევით მის კეთილდღეობას ემსახურა.

ა. ასათიანი იყო წინასწარობა და ცუდი დინჯ გონიერ მოღვაწისტიპი — იდეალიზმს არმოკლებული, მაგრამ რეალისტი. ასეთები ქართველ მოღვაწეთა შორის არც თუ ისე ბევრია.

შთამამავლობა მის ესოდენ უანგარო ღვაწლს არ დაიფიყვებს. მისი მაგალითი წასაბაძად დარჩება.

ს. პირაქაძე.



ნ ა კ ო ლ ო ზ ს ა მ ხ ა რ ა ძ ე *.

საქართველოს ისტორიის სწავლებას საკითხისათვის.
(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს განათლების სამინისტროში 1. ჩვეულ ისტორიკოსთა თითბირზე)

ჩვენ მოვისმინე. მინისტრ გ. ჯიბლაძის ინფორმაცია საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიის ან ოდებისათვის (სწავლებლის შეწყვეტისათვის). მინისტრმა აღნიშნა: „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, შედგენილი ივ. ჯავახიშვილის, ნიკ. ბერძენიშვილის და ჯანაშიას ავტორობით მეტად ვრცელ მასალას მოიცავს. ამის გამო ამ სახელმძღვანელოთი სწავლება დიდპეტროზიად გაუმართლებელია და ხელმძღვანელ წრეებში იშვია შემდეგი მოსაზრება: ვიდრე ახალი სახელმძღვანელო შედგებოდეს, საქართველოს ისტორიას ახალგაზრდობა საშუალო სკოლებში შეისწავლის სსრ კავშირის აოკებულ სახელმძღვანელოებით“

შემდეგ თქვენ მოისმინეთ პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის ვამერს ლ. ცხისთავის სიტყვა. იგი მთლიანად მიეძღვნა დასაბუთებას, რომ ფართო მოცულობის გამო ათეული სახელმძღვანელოთი საქართველოს ისტორიის სწავლება გაუმართლებელია... შემომავსებს წინადადება: ახალი სახელმძღვანელოს შედგენამდე სასწავლო პროგრამი იარ ამოღებულ იქნას საქართველოს ისტორიის წიგნები. შემდეგ იგი დასძინა: „საქართველოს ისტორიას, ახალი მოსწავლე ახალგაზრდობა სსრ კავშირი, ახალი სახელმძღვანელოებით შეისწავლის“.

მისი ბრძანებით გ. ჯიბლაძის და ლ. ცხისთავის ინფორმაცია, რომელიც აქ მოვისმინეთ, გამოწვეულია არა იმით, რომ არსებული სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია, არამედ სულ სხვა განზრახვითა და მიზეზით. პარტიისა და მთავრობის მმართველ ზედაფენაში ათე იჩინა ველიკორუსულმა დიდმეცნიერებელმა შოვინიზმმა. ველიკორუსა, ეს მმართველი ფენა ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს სამოცხე მეტი ნაციონალიზმისაგან შემდგარსა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის შემცველს, წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოახდინოს მათი ასიმილიზაცია.

საბ. სახელმწიფოს დასაბრუნებელი ლენინი იმთავითვე მიუთითებდა ველიკორუსული დიდმეცნიერებლობის საშიშროებაზე და აღნიშნავდა: „არ არის გამოირჩეული ის ამბავი, რომ პარტიაში დროდადრო თავს იჩინებს ველიკორუსული დიდმეცნიერული შოვინიზმი. ამგვარი გამოვლენა არ ჰიკ უნდა აღმოიფხვრას, თუ გვსურს, რომ დავიცვათ და შევიწინააღმდეგოთ საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ცოლიანობა“. საბ. კავშირი შეიქმნა 1922 წელს, მასაფუძვლად დაელო კავშირში შემავალ ერთი თბილისური რეპუბლიკისა და სუვერენული რეპუბლიკის.

მილიონები იმისთვის როდი ღვრიდენ სისხლს, რომ სულ მალე წაართმეოთ სისხლით მოპოვებულ ეროვნულ თუ სოციალურ თავისუფლებას, მათ შეიღებია და შევიღებულეს მამა-პაპათა ისტორიის შესწავლასა და თავისუფალ აზრის გამოხატვას აღკვეთა და დღეს ასე იმის საკითხი: უარყოფა, ხელის აღება ჩვენთა წინააპართა სახელ კათი წარსულის ხსოვნისა, ეს ნიშნავს აფშუში და მომავალში უბრმად მივდივით და მივგვეთ მტრძაღვების ჩუბას, შევეთვისით და შევესისხნორკოთ მათ...“

მოგვხსენებთ, რომ ერებისა და ეროვ. სახელმწიფოთა ჩამოყალიბება ათასწლეულთა მანძილზე გავრცელებული შრომისადა ბრძოლის შედეგად ხდებოდა. ქართველმა ხალხმა თავის იატორიას ააფუძველი და აღორძინებდა მესამე-მეოთხე ათასწლეულ წლებში ჩაუყარა. შექმნა რა დამოუკიდებლად ანბანი და დამწერლობა, საკაცობრიო ისტორიის ფურცლებზე მან ბევრი საინტერესო და სასახელო საქმე ჩაწერა.

*მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად 1 საშუალო სკოლაში, ვაკეეთილეს ატარებდა ძლიერ გაბედულად, ამატორი ციხელურ უსამართლობის და ველიკორუსულ შოვინიზმს. ამ სიტყვის გამოთქმის შემდეგ 1958 წლის ოქტომბერში დააპატიმრა უშიშროების კომიტეტმა, ხოლო 1959 წლის იანვარში მიესაჯა იძულებითი მუშაობა დასახლებულ საავადმყოფოში, საიდანაც განთავისუფლდა 1959 წლის სექტემბერში. ათი წლის განმავლობაში არ აძლევდნენ სამსახურს, იყო ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე.

1969 წელს ნ. სამხარაძე ვრცელი დებუებით მიმართა ბრეჟნევს, უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე და მოითხოვა ოჯახითურთ საზღვარგარეთ წასვლა. მხოლოდ ამის შემდეგ დანიშნეს თბილისში უზენის ეტიმად(მას სამედიცინო განათლება აქვს).





ერის ისტორია მოგვითხრობს, თუ როდის აიდგა მან ფეხი. ზოგორ და როდის დაედო საძირკველითაგვის ექსპონენტულ შენობას, როგორ იღწყოდა და იზრდოდა ამ შენობის აგებისათვის, მისი შენარჩუნება-განახლებისათვის.

მოგახსენებთ, რომ კაცობრიობის განვლილი ისტორია აღნუსხვია არა ერთი ხალხისა და ერის ნამოღვაწე - ხაბოქქედარის, არამედ ყველა იმ ხალხებისა, ამჟამად რომ ცხოვრობენ და არსებობენ. მეტიც: იყვნენ ხალხები, რომელნიც იღწოდნენ, მოქმედებდნენ და რომელთაც ჩაიდინეს ღირსშესანიშნავი საქმენი. ზოგიერთი მათგანი დღეისათვის აღარ არსებობს. ემათა უკუღმართობამ, ბოროტმა ძალმა აღგავს ისინი პირისპირ მიწისა. დაცრა მარტოვედ მითი ნამოღვაწეა, რასაც ისტორია აღნუსხვას და შეინჯავის, არა უბრალო ცნობადობისათვის, არამედ იმ აუცილებლობის გამო, რომ გავამდიდროთ გონება და ამით უფრო სწრაფად წავეწიოთ ეროვნული და საკაცობრიო ცხოვრება.

ერთი ცხოვრება არა მარტო აწმყოთი, არამედ წარსულითა და მომავლით. წარსული არის საფუძველი და დიდი შემეტყნებითი განძი, რომელიც გვაუწყებს, თუ რას იქმოდნენ ჩვენი მამა-პაპანი სასახლეოსა და სასიქედოსა, ვინ ჩააყულა ფეხი და უფარგისი კვა ეროვნულ შენობას, ვინ იყო მამაცი და შეუპოვარი სამშობლოს ზღორბობა დაცვისას, ცარგისა და ავის შერხობა ეროვნულის წიაღში ახალითაგვის საშუალებების მისცემს უკეთ გაიგოს და შეიმჩნოს აწმყო და მომავალი.

ერის თვითგამორკვევა შეუძლებელია ისტორიული წარსულის შესწავლის, დამოუკიდებელი სუვერენული უფლების განხორციელების გარეშე. ქართული ხედავს, რომ არსებობს ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების იერარქია (წყობა), ვარგენულად ქართველი ხალხი თითქმის განაგებს საკუთარ თავს და თავის ბედის ბატონ-პატრონია, მაგრამ არის სინამდვილისა მეტად მწვევა და მკიცხვეული. ყოველივე ეს ნომინალურია და არა არის რეალური არსობა. ნამდვილად არსებობს ეროვნული სახელმწიფოს მექანიზმი, მაგრამ ამ მექანიზმს არ გააჩნია ცხოველმყოფელი თვითმოქმედი ეროვნული სული. ეს ეროვნული სული ქართველ ხალხს რუსმა დამპყრობელმა ამოაცალა 1800 წელს. წარმოიდგინეთ სხელი უსულთ საუკუნეთა მანძილზე. მომიადტველი, მუხუშეში მისვენებული სანახაობა.

წარსული მვეთს რუსეთი დაუფარავად და დაყენებით აბორციელებდა დაპყრობილი ხალხების შთანთქმასა და ასიმილაციას. ქართველი ხალხის მოწინავე შეილები დროდადრო ხმას იმალებდნენ და ებრძოდნენ მტერს. 1832 წლის შეთქმულების ჩახშობის შემდეგ იშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მდღროშენი იყვნენ ლიდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი. სამოციანელები სწორედ მათ იღებებუ აღიზარდნენ. ჩამოყალიბდა ეროვნული დასი ირია ქაქვიძისა და აკიე წერეთლის შეთავაზებით. შეიქმნა ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ეროვნული და სოციალური თავისუფლება. ისიც კარგად ვიცით როგორ იზრდოდნენ ისინი ჩვენი ეროვნული ღირსების, ეროვნული ყოფადობის აღდგენისათვის.

ილია ამბობს: ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველ დამოზობა, გათავისობა, გაწყობა იქედან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარება თავის წარსულისა, თავის ყოვლის ცხოვრებისა. დაიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნადან, მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწვედის. წარსული მვედროს საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ეპოქის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია*. ეს სიტყვა კომენტარს არ საჭიროებს.

დღეს მტერი უმბრუნებს და სპობს ეროვნული ყოფადობის დასაყრდენს. გელოვარსმა კარგად იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობა, აღზრდილი თავის წინაპართა გმირულ ისტორიაზე, თავის ერისადმი მთავალი გრძნობისა და სიყვარულით განიშხველებია. ერის წარსულის შესწავლით ახალი თაობა ადვილად გამოიძინებს მტერსა და მოყვარეს. თავის წინაპართა ღვაწლს სხვა ხალხების ნამოღვაწეარს შეადარებს, რაიც მისცემს გავების უნარს: ვინ ვიყავით, რა ვართ და ზეადისათვის რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ავამაღლებთ და უზრუნველყოთ ეროვნული ყოფადობა.

გეოლოგისი, შენობილი და ინტერნაციონალიზმს ამოფარებული, ყოველგვარი ეროვნულ-სოციალური საღი აზრის ჩაყვლის ლაიობს. იგი თანდათანობით და დაყენებით ანხორციელებს დამორჩილებული ტყვეების ერების ასიმილაციას, ვარუსებას. ამას დღევანდელი დღე და ჩვენი არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება აღასტურებს.

ვესტორუსს პირველი იერიში განვითარებულ ერებზე მიაქვს, რომელთაც მთავალი კულტურა და ხანგრძლივი ისტორიული წარსული გააჩნიათ. ქართველ ხალხზე დაწოლა მრავალმხრივია: ვაზრდილი მიგრაცია, არაქართველთათვის უპირატესობის მინიჭება, ბინებისა და სამსახურის მიცემა ინტერნაციონალიზმის სარ-

ჩლით. ქართველთა დაწინაურებული მმართველთა ფენა და ინტელიგენციის ოლიგარქია ხელს უწყობს ველიკორუსს ქართველი ხალხის ასიმილაციის საქმეში.

ლენინის ჩამოყალიბებული პრინციპი ეროვნული სუვერენობისა და თანასწორობისა არ სრულდება. შეიძლება იცქეას, საბჭოთა კავშირში ეროვნული დამოუკიდებლობის ცნებამ თავისი აზრი დაკარგა.

არ იფიქროთ, საკითხს გადაეუხებო. ჩვენი ეროვნული სხული მრავალმა იგ არის დაიარსებულ-დაწყულულებული. ვისაც გაგება და გული შერჩენია, მთელი სიმწვავეთ განიცდის ამ მდგომარეობას. იხრას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ვაი, ჩვენი ბრალი: ტკივილების გამომყდებება და მკურნალობა აკრძალული გვაქვს.

გადავხედოთ ღღვეანდელი მსოფლიოს რუქას: მსოფლიო ის აღარ არის რაც 30 50 წლის წინათ იყო. თითქმის ყველგან დაემხო კოლონიური ბატონობა. მსოფლიო რუქაზე გაჩნდა ათობით ახალი სახელმწიფო, რომელნიც ეს-ეს არის გამოვიდნენ მსოფლიო ანბარზე და იწყებენ ისტორიის შექმნას. თქვენთვის ცნობილია რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო სპეციალური დეკლარაცია დეკოლონიზაციისა და ხალხთა შორის თანასწორულდებანობის დაცვის შესახებ.

საბ. კავშირი პირველი შეუერთდა ამ დეკლარაციას, მაგრამ პრაქტიკულად მისი შესრულებისათვის არა თუ რიმე გაცეთა, ჭრეგვლერო ეროვნულ და სოციალურ გამოყდენას სისხლში ახრჩობს. ამის მაგალითს ღღვეანდელი თათბირი წარმოადგენს.

ამ თათბირის მიზანი ხელყოფს ერის არსებობას და აღმფოთებას იწყებს ყველა ქართველში. ეს აღმფოთება ბუნებრივია და მტერს არ უნდა ვაუყვირდეს. მტერს ვეწოდებ ყველა იმას, რომელიც ძალის პოზიციიდან სხვის სულში აფოთურებს ხელს, რათა ეს სული ამოცალოს მის და ცარიელი სხული თავის სულის საყოფად აქციოს.

ველოკორუსობა მიეჩნია იმ აზრს, რომ სხვადასხვა ხერხითა და ხრიკებით ხალხები თავის ბატონობის ქვეშ იყოლიოს. მის ავიწყდება ის საშინელება, 1941 45 წლებში რომ დაატყდა თავს. რუსი ხალხი მართო ვერ გაუმკლავდებოდა პიტერულ გერმანიას, გვერდში რომ არ ამოდგომოდა უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, უზბეკი, თათარი და სხვა. რატომ არ მიიღო რუსმა ხალხმა და მისმა ინტელიგენციამ განვითარებული და ცივლი მებული გერმანიული ერის ხელმძღვანელობა, მისი წესრიგი და ბატონობა?!

ასევე მიუღებელია რუსის ბატონობა და მისი კომუნისტურ - ინტერნაციონალისტური წესრიგი სხვა ხალხებისათვის. დამპყრობელი, მოძალადე, ყველა ხალხს სძულს. განვითარების როგორ ღონეზე არ უნდა იდგეს იგი.

ქართველი ერი თავისი ისტორიული წარსულით, ნიჭის პოტენციითა და შემოქმედების უნარით რუს ხალხს არა თუ ჩამოუეარდება, წინ უსწრებს კიდევ. ქართველი ხალხის შემოქმედებასა და წინსვლას მუდამ მრავალრიცხოვან დამპყრობთა მუდმივი თირეში, ქვეყნის აწოკება-აოხრება აყოენება. ჩვენი ამჟამინდელი ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ 1800 წლიდან რუსი მპყრობელის ხელში ვიმყოფებით. ორი საუკუნე სრულდება, რაც რომ ჩვენი თავი ჩვენვე აღარ გვეყოფნის. ჩვენი ეროვნული სხული უთავოდაა შთენილი და შინაგანად გამოცდილი.

მინისტრი გ. ჯიბლაძე და ლ. ციხისთავი მოქმედებენ არა საყოთარი სურვილითა და გონებით, არამედ მბრძანებლის მიითებით. ისინი გვარწმუნებენ, რომ უკეთესია ა როველოს ახალმა თობამ თავის წინაპართა ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია სსრკეპნის ისტორიის სახელმძღვანელოთი შეისწავლოს, სადაც ქართველი ხალხის ეტრელი ისტორიის დამომბილი აქვს ათი ფურცელი.

სსრ კავშირის სამი წიგნი ფაქტიურად რუსი ხალხის ისტორიაა და არა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისა, რადგან სამოცდაათ ხალხს ამ წიგნში დამომბილი აქვს მოცულობის ხუთი პროცენტი დანარჩენი კი რუს ხალხზე მოდის. თქვენ ხედავთ, თუ როგორი ფარლობაა რუს ხალხსა და სხვა ხალხებს შორის. იგივე თქმის ცენტრალური მართვის სისტემაზე. ასეთია ველიკორუსის ვაგებით თანასწორობა და ერთობა.

ქართველი ხალხის ისტორია თავისი წარსულითა და შინაარსით, მოცულობითაც, აღემატება რუსეთისას. ქართველებს რუსებზე ათასი წლით აღრე ქვენიათ ცივილიზაცია, სახელმწიფო წყობა და დამწერლობა. ქართველები რომ წიგნებს წერდნენ, რუსები მინდორ-ველიად დატებებოდნენ. მომთაბარე ცხოვრებას ეწყოდნენ. როდესაც ჩვენში ვეფხისტყაოსანი იწერებოდა, რუსთა ზედაფენაში ანბანს ძლივს ეთხულობდნენ.

ქართველი ხალხი და ინტელიგენცია ვერ შეურიგდება იმ ფაქტს, რომ ქართველ ახალ თობასათვის წინაპართა ისტორიის შესწავლის უფლება წაერთვის. არც ისაა სწორი, რომ არსებული სახელმძღვანელო, რომელმაც ემორე პრემია დაიმსახურა, უვარგისად გამოეცხადათ იმ მიზეზით, თითქოს იგი ღიდ მასალას მოიცავს. პირველი წიგნი სოვკური მიწვეულოვანი მასალა შეეკეცილია, არ არის ფართოდ განხილული. თუ ამ წიგნს გადავამუშავებთ და შეკვეცილ მასალას წესისამებრ ვაგმლით, ორ წიგნს მივიღებთ.

ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ასედაც მოიქცეოდა, თავისი თავის განმგებელი რომ იყო. ასევე უნდა დავსინით: საქართველოს ისტორიას სასწავლო გეგმით კვირაში ერთი საათი აქვს დათმობილი, რაც დიდაქტიკურად გაუმართლებელია. შემომამქვს წინადადება: ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიის შესწავლას კვირაში ორი საათი დავთმოს.

გამსახურდიას და კოსტავას საქმე „სახაროვის ტრიბუნალზე“.

ამა წლის 26 - 29 ნოემბერს რომში ჩატარდა ე. წ. „სახაროვის სახელობის აღედენციები“, რომელსაც აგრეთვე „სახაროვის ტრიბუნალს“ უწოდებენ. ამ სხდომებს აწყობს საერთაშორისო კომიტეტი, რომელშიც შედიან სხვადასხვა ექსპერტები სამ. კავშირის და აღმ. ევროპის საქმეებში.

ტრიბუნალის მუშაობას ქართული მხრიდან დაესწრნენ, პელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარების პარაზული კომიტეტის სახელით, ოთარ ზურაბიშვილი, ხლო როგორც რადიო თავისუფლების ეროვნულ რედაქციების კორესპონდენტები - გულნარა პატარაძე ურატაძისა.

ამ სხდომებზე მოწმობებით გამოვიდა სამ. კავშირში და აღმ. ევროპის ქვეყნებში აღამიანის უფლებათა დარღვევის მოწმეები. წელს ჩატარებულ სესიაზე გამოვიდნენ: ლეონიდ პლიუშჩი, ტატიანა ხოდოროვიჩი, ვალენტინ ტურჩინი, ლიუდმილა აღექსეევა, კონიდი ლიუბარსკი და სხვები.

გამოვიდნენ აგრეთვე ფრანგი ვეტილები, მერელი და მორეტი, რომლებმაც დიდიცვა გამსახურდიას და კოსტავას საქმე. მათ მიიყვანეს მთელი რიგი ფაქტებისა, კოსტავა და გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობაზე, მათ უკანონო დაპატიმრებაზე და მათ გადაყვანაზე მოსკოვში, სერბისკის სახელობის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, და ნათლად დასახურების მიზნებით, რომელთა გამოიკისრეს ამ ორი ქართველი დისიდენტის დაცვა. კოსტავა და გამსახურდიას ფსიქიატრიულ სამკურნალოში მოთავსებისთან დაკავშირებით, სიტყვით გამოვიდა ჩეხიაში ახლად შემოხიზნული ქართველი ექიმი-ფსიქიატრი ავთანდილ პაპიაშვილი, რომელიც შეეხო ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებას სამ. კავშირში საერთოდ, და საქართველოში სახელდობრ. დასახლებულთა დისტიკურ ჯანმრთელობაზე ჩვენებებით გამოვიდნენ აგრეთვე აღამიანის უფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლი, ლიუდმილა აღექსეევა და ტატიანა ხოდოროვიჩი, რომელთაც ახლახან დასტოვეს სამ. კავშირი და კარგად იცნობენ ორთავე პატიმარს. ჩვენი თანამემამულეებს საქმე დიხურა ოთარ ზურაბიშვილის შესანიშნავი სიტყვით, რომელშიც მან ოფიციალურად შესთავაზა საქაბოა ხელისუფლებს, დასავლეთში გაუშვან გამსახურდი და კოსტავა საჭირო მკურნალობის გასაღებად, რის დროსაც იგი, ზურაბიშვილი მზადაა მათთვის მოხიბოს სასჯელი სამ. კავშირის ნებისმიერ ციხე თუ ბანაკში - ნებისმიერ პირობაში.

ოთარ ზურაბიშვილის ამ წინადადებაში, რომელიც ცოტნე დადიანის საქციელის დარია და მას არ ჩამოუვარდება, უჩვეულო შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია კომისიის წევრებში, ექსპერტებში და დამსწრე საზოგადოებაში.

ო. ზურაბიშვილის სიტყვა (ტექსტი გადაცემული „ამერიკის ხმა“ ს მიერ)

ბატონო თავმჯდომარე პაბატონებო და ბატონებო, როგორც ვეტილებმა უკვე მოგახსენეს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გადასარჩენად. ე.ი. უნდა ვიხმაროთ ფართო შესაძლებლობები, რომელნიც აქვთ სხვადასხვა ჯგუფებს, რომელნიც ჩამოყალიბდნენ პელსინკის კონფერენციის შეთანხმების შემდეგ. ერთის მხრივ უნდა მოვითხოვოთ დაცვა და შესრულება ხელმოწერილ შეთანხმებათა, მაშასადამე - დაცვის უფლება დაპატიმრებულ პირებისა, რისი დარღვევაც უხეში დარღვევაა ამ შეთანხმებისა - ამას მოითხოვენ თვით ვეტილები. მეორეს მხრივ უნდა გავამახვილოთ საერთაშორისო აზრი პრესის საშუალებით. და მინდა განსაკუთრებით მივმართო პრესას, რადგან ნათელია, რომ ჩვენს ბრძოლაში პრესის როლი დიდად მნიშვნელოვანია. ჩვენ ვიცით თუ რა როლი ითამაშა საზოგადო აზრმა, მისი შთაბეჭდილებით. ზოგიერთ დღისგანთა მიმოაჩი, რომელნიც შემდეგში ვახდენენ, ასე ვთქვათ „დისიდენტის ეარსკვლავები“. ზოგთა სახელი ფრიალ ცნობილიცაა მაგრამ სამწუხაროდ მრავალი უცნობი და რჩება... არ არსებობს. არ უნდა არსებობდეს ცნობილი და უცნობი დისიდენტი. გამსახურდია და კოსტავა ამ დისიდენტულ მავალითა. მიუხედავად მათი ბრძოლის იგივე მიზნისთვის სამსახურისა, მათი დევნა უფრო მკაცრია, რადგან იგი უცნობია უფლებდელთა... ნუთუ სიჩუმე თანხმობის ნიშანია? მითუფრო რომ ამჟამად მათი მდგომარეობა ფრიალ მძიმეა, რადგან მათი ჯანმრთელობა დამაფიქრებელია. გამსახურდიას გარდაცვალების ხმაც კი მოვიდა - საბედნიეროდ არამართალი. იგი ცოცხალია. ჯერ ცოცხალია, მაგრამ ჩვენ მძიმე შეგრძნება გვაქვს, რომ ვერც გამსახურდია ვერც კოსტავა ვერ აიტანენ იმ ფსიქიატრიულ მკურნალობას, რომელსაც მათ უწყევან ან გაუწყვენ ვითომც ექიმები... და ამიტომ ვგრძნობ მხოლოდ ერთი იმედი, რომ მათ გაუძლონ სანამ ჩვენ შევძლებთ მათ დახმარებას.

ამიტომ უკიდურესობამდე მისული და მხოლოდ ჰუმანიტური მიზნით, მეც მართავ საბჭოთა ხელისუფლებას შემდეგი განცხადებით: მე ვითხოვ, რომ გამსახურდეს და კოსტავას E 3 და ბარონ დასავლეთში წინა მოსვლისა, მათი სოციალისტური შენარჩუნებისათვის საჭირო მკურნალობის გასაწევად. მათი აქ ყოფნა განისაზღვრება მათი მკურნალობით. აქედან გამომდინარე, მე თათა ზურბანიშვილი, ექიმი, ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარე, პატროსან სიტყვას ვვებამ კომისიის და საერთაშორისო აზრის წინაშე, რომ მე საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებამში ვარ, გამსახურდი და კოსტავა. ვასტველად მზად ვარ მათი დასავლეთში ყოფნის განმავლობაში, მათ მავიერად, მათი ადგილისა და ველი დავიცავო მათსავე პატრიარს პირობებში. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ჰუმანიტური ხასიათისა და კომუნისტურ მხარეებს მხოლოდ მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და წყობილი საგან. იმედი მაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება დადგება ამ კონფერენციის საშუალებით ვთხოვ საერთაშორისო წითელ ჯვარს, ამნისტია ინტერნაციონალს და ამიანიის უფლებების საერთაშორისო ლიგას მხარის დაჭერას, რომ ჩემს მიზანს მივაღწიო.

მე ვთხოვ კომისიისა, და ვიცი, რომ ჩემი თხოვნა არის პროტოკოლის გატყუვ, მხარი დამიჭიროს. ეს მოწოდება არის საგნებით პიროვნული და შეიძლება ახსნას ექიმის შეტყუვებით, რომელიც გამოწვეულია გამსახურდი და კოსტავას ჯანმრთელობის მდგომარეობით. და არავითარ შემთხვევაში ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საჭირო იურიდიულ სვლას.

მე მსურს აგრეთვე დავადსტურო, რომ ეს ჩემი განცხადება ერთდროულად გადაეცა საბჭოთა საელჩოებს იმ ოცდახუთმეტ ქვეყანაში, რომელთაც ხელი მოაწერეს ჰელსინკის ხელშეკრულებას. გადაეცა აგრეთვე საფრანგეთის პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. გადაეცა კრემლს. აქ დამსწრე პრესას ვთხოვ საერთაშორისო აზრს გააცნოს ეს მოწოდება.

საქართველოს ამბები.

ამა წლის აპრილი თბილისის ფეხბურთის სტადიონზე, ფრიად სერიოზული ინციდენტი მოხდა. ქართულ და რუსულ გუნდების შეჯიბრის დროს, რუსი მსაჯის აშკარად მიტყუვებულ საქციელის გამო, მკურნალები ისე აღშფოთებულან, რომ თითოეტი ათათი კაცი ამბოხებულ მასად გადაქცეულა, დიდი ნაწილი ტრამუნებით დან მოედანზე ჩამოსულა დანარჩენებს კი დაუწყვიტო ყველადრის მტყუვება-რისაც კი შეიძლებოდა. არეულობაში მომყვდარა ერთი მილიციელი. ამბობენ, რომ არავითარი რეპრუთები ამას არ მოჰყოლია, რადგან ხელისუფლების თავდაცვბმა, რომელიც მრავლად ყოფილან ამ ამბის მოწმენი, (ამბობენ შეტყუვებულს), ხალხის გამტყუვება ვერ გაბედეს.

პროკლამაციების დარიგება.

სექტემბერში თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში ერთ ახალგაზრდას დაუწყვიტა ანტისამბჭოური და ქართული პატრიოტული ხასიათის პროკლამაციების დარიგება და როცა დაუნახავს, რომ პოლიცია მოდიოდა დარჩენილი ფურცლები ხალხის თავზე მიმოებნევიდა. დარბაზში მყოფ ახალგაზრდებს მოუწოდებიათ დემონსტრანტის დაილაქ და ვაპარება, მავრამ იგი ფრანგი ტურისტო აღმოჩნდა რომელმაც გაქცევა არ ინდომა. პოლიციელები თუომე გადაცილებით დამარწმუნე დარბაზში და ვინც ფურცლის დამალვა ვერ მოასწრო ხელიდან გლეჯდენ. ის. ფრანგი ახალგაზრდა პოლიციას წაუგვანიადა დაუწყვიტე მოსკოვში გადასაყვრნითა ხოლო იქიდან, ასევე დაუწყნებლი, თავის ქვეყნისაკენ გაუსტუმრებიათ.

ახალი წიგნი.

გამოვიდა ბნ. პ. სარჯველაძის წიგნი სათაურით: „იმედი და რწმენა“. წიგნი მოთავსებულია ავტორის მიერ, სხვადასხვა დროს, უკვე გამოქვეყნებულ ნაწერთა შორის არჩეული სტატიები. წიგნი საკმაოდ დიდია (175 გვ.) და მასალა ისეა შერჩეული, რომ მიუხედავად განმეორებითი გამოცემისა, ინტერესით იკითხება. ჩვენს აზრით, ამგვარი კრებულის გამოცემა, არათუ გამართლებულია, არამედ ყოველ ანალიტიკურ შემხვევაში სასურველიც არის-როგორც თავმოყრილ დოკუმენტების შექმნამიგრანტულ გურნალ ბატონის გასაცხვევით. წიგნი მოაქცნებულ ჩსსიდან, როგორც მოცულობით აგრეთვე მნიშვნელობით, გამოირჩევა ნარკვევით: „ნოე ყორღანის ხსოვნისათვის“. ეს წერილი, რომლის ავტორი თვითონ სულიერი შვილია ნ. ყორღანისა, ცხადია ვერ იქნება მიუდგომ ცოცხალიზის შედეგად გამოთქმული აზრი. როგორც არც ყორღანისა მოწინააღმდეგე იდეოლოგიის მიმდევარი მწერლის აზრი შეიძლება ასეთი იყოს, ჩვენ გესურს სხვა რამე აღვნიშნოთ. საინტერესო და საყურადღებოა თუ როგორ ესახება ავტორს ნ. ყორღანი, რადგან ამის მიხედვით ჩვენ დავინახავთ თუ რა თვისებათა ქონება მიაჩნია ბ. სარჯველაძეს საკიროდ იდეალურ პოლიტიკურ მოდელს აწისათვის. და ამ თუ წერილს ამგვარად განვიხილავთ, საბოლოო სურბორი მოგვჩენის, ბნ. სარჯველაძეს სწორი, საფუძვლიანი და ჩვენთვის მთლიანად მისაღები წარმოდგენა ჰქონია იმაზე თუ რა იდეალების მატარებელი და რომელ დადებით თვისებათა მქონე უნდა იყოს ქართული მოღვაწე.



საქართველოს კათალიკოს პატრიარქის გარდაცვალება.

გარდაიცვალა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი დავით მეხუთე (საერო ცხოვრებაში ხარტონ ღემ-
დარიანი). ამ პიროვნების კათალიკოსად გახდომამ— კაცის, რომელიც ვიდრე ეკლესიის მსახური გახდებოდა
თურმე ხაშურის საღვთისმეტყველებით დაიწყო და არა ვინაიდან განათლება არ ჰქონდა, საქართველოში
დიდი უკმაყოფილება გამოიწვია— მით უმეტეს რომ, მას ბრალდებოდა, მიტროპოლიტ გაიხს კერატაშვილის
მიერ პოლიციის აგენტთა მხარდაჭერით და შეგანაძის ცოლის მფარველობით მოწყობილ საქათალიკოსოს გა-
ძარცვამში მონაწილეობა. გარდა ამისა მთავრობის მიერ შეწყვეტილ და ჩახშობილ გამოძიების დოკუმენტე-
ბი ცხადყოფდა რომ დევდარიანი „წითელ“ სამღვდლოების მიერ შედგენილ ნამდვილ კრიმინალთა ჯგუფის
მიერ უკანონო პირობებში იქნა ამ თანამდებობაზე არჩეული, უშიშროების კომიტეტის თანდგომით.

ღმერთმა განსაჯოს მისი ცოდვილი სული. მაგრამ მის მცირეხნოვან კათალიკოსობის დროს, საქართველო-
ს ეკლესია, ისედაც დევნილი და დასუსტებული, არნახულ სიმდაბლემდე დასულა.

ამჟამად კათალიკოსის მოვალეობას ღირსეული მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი ასრულებს. მხოლოდ
ღანამდვილეთი ცნობები არ მოსულა, არჩეულია თუ არა ის კათალიკოსად, იმედია, რომ თუ ეს ჯერ არ მომ-
ხდარა, მინც მოხდება. მაგრამ ეინც არ უნდა დაიკავოს ეს დიდი თანამდებობა, იგი უმძიმეს შემგვიდრეო-
ბას მიიღებს, რომლის გამოსწორებაზე ზრუნედაც, არსებულ პირობებში უმძიმესი ტვირთია.

ისიღორე მანწყავის ნეშტის გადასვენება.

ქალბატონ მარიამ ლოლობერიძის მონდომებით და ბნ. აკ. შავგულიძის ღინანსიერ დახმარებით, ლევილის
ქართულ სასაფლაოს მივებარა, ოპის დროს გერმანიაში გარდაცვლილი, დიდად ნიჭიერ და გონიერ, დიდ იმ-
ედითა მომცემ მწერალ-ჟურნალისტის ისიღორე მანწყავის ნეშტი.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ კართულ უცხოეთურ გამოცემებში უკანასკნელად (ავ ვისტ-
ოში) გამოცხადებულ გარდაცვალებათა შემდეგ დაეკარგეთ: ხუთ ოქტომბერს— ეკატერინე დავუშვილიანი;
ხუთმეტ ოქტომბერს— თორნიკე ლალიძე; ცხრაშეტ ოქტომბერს — მიხეილ ლოლიძე; ოცდამეორე ნოემბერს— მიხეილ
შარვაშიძე; დაიკრძალნენ ლევილის სასაფლაოზე.

ბრაზილიაში გარდაიცვალა ირაკლი ზაღდასტანიშვილი. ლონდონში გარდაიცვალა პოლკოვნიკი დავით
ვაჩნაძე— ესპანეთში გარდაიცვალა ირაკლი ზავ რატონი.

ჩვენი უდრმესი სამძიმარი მათ პირისუფლებსა დამეგობრებს.

ქურნალის ფონდი, ჩვენი ქურნალის ხარჯები უმთავრესად საწკერო კადასახადით იფარება. აქ მადლობით
ვათავსებთ სხვა შემოწირულებებს: სოფოს კოლონიისაგან— 200 ფრ. ზავ რატ კაქიაშვილი და მისი მეუღლე
— 400 ფრ. ვანს. ი. ზაღდასტანიშვილი 200 ფრ. ვ. ურატაძე 200 ფრ. შ. კალანდაძე 200 ფრ.

Director O. Patardze.

სარედაქციო კოლეგია : გვიგ ვახლიანი. გვიგ ზაღდასტანიშვილი. შალვა კალანდაძე. გულნარა ურატაძე.
მიხეილ კავთარაძე. (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი)

Correspondants: MICHEL KAVTARADZE 61 chm. de Tabor 91310 Linas Tel. 901 47 81

(რედაქციის მისამართი)